ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 49

2 მარტი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გარკვეული მიწის ნაკვეთების სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის № 07.29.180 განკარგულებით გათვალისწინებული ქვემოთ აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, ზემოხსენებული განკარგულებით განსაზღვრული უსასყიდლო ააღნაგობის პირობებით.

ა)გარდაბანში, თელეთში მდებარე 3 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.03.12.199.);

ბ)ქ.თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ 36 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.09.010.004.);

გ)ქ.თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ 16 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.09.010.003.);

დ) ქ.თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N109-სა და N111-ის მოპირდაპირედ 172 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.09.005.100.).

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი.